დროება

№ 249 კვირა, 8 ნოემბერი 1909 წ. № 249

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ხება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ, კვირას 8 ნოემბერს, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის

მიშა ფორაქიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე, შუადღის 12 ს. გადახდილი იქნება პანაშვიდი ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **დავით ილარიონის ძე, თინათინა გიორგის ასული ფორაქიშვილები** შვილებითურთ და **ელისაბედ ყარამანის ასული კნეინა ვაჩნაძისა.** (2—536—2)

კვირას, 8 ნოემბერს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და მერე პანაშვიდი

მიხეილ კაკნაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ განსვენებულის მშობლები **ანასტასია დავითის ასული და დავით გიორგის ძე, ძმები ივანე და ნიკოლოზ დავითის ძენი კაკნაძენი, და და სიძე ნატალია დავითის ასული და პავლე ანტონის ძე კალატოზიშვილები და რძალი სოფიო არტემის ასული კაკნაძე.** (2—უ.—2)

სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი და მეუღლე მისი ნინო თევდორეს ასული შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, ნოემბრის—8, გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად უდროოდ გარდაცვალებულის შვილის

ლევან (ლეო) მგალობლიშვილისა.

წირვა დაიწყება 10 ს. კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში, პანაშვიდი 12 საათ საფლავზე. (2—ნ.—2)

თავ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ამირეჯიბი, კნ. ეკატერინე გიორგის ასული აბაშიძისა, თავ. დავით და გიორგი ნიკოლოზის ძენი ამირეჯიბნი, კნ. ნინო ივანეს ასული ამირეჯიბისა და ელენე ნიკოლოზის ასული დიდებულიძისა ამით აცხადებენ, რომ

კნ. დარია გიორგის ასულის ამირეჯიბის

წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება სამშაბათს, 10 ნოემბერს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში—ვერაზე, დილის 10 ს. (1—538—1)

წარმოდგენა № 14. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 14.

იაფ ფასიანი სახალხო წარმოდგენა.

კვირას, 8 ნოემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორე ჯერ ახალი პიესა ჰეერმანსისა:

იმედის დაღუპვა

დრამა 4 მოქმედებად თარგ. დ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ბ. ნეჟიერიძისა, ძ. ქილარჯიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ ჯავახიშვილი; პ. მღთაძე; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარამძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. მგალობლიშვილი, მერვანიშვილი, ვ. მატარაძე. შ. საფაროვი და ვ. ურუშაძე.

ადგილების ფასი: ლოჟები 7 მ.-დან 3 მ.-მდე; პარტერი 1 მ. 50 კ.-დან 50 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსად. „ახალი მოძღვრება", „პარტიის კაცი"?! „მეგრელის მთავარი ლევან".

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. ვაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—20„)

გამგეობა

ტფილისის სათავ.-აზ. საად.-მამულო ბანკისა

ამით აცხადებს, რომ

რუსული ორთქლის აბანო

(აპრიევისეული) რიყის ქუჩა, საკომერციო სასწავლებლის პირდაპირ

იძლევა იჯარით და იყიდება

(5—გ.უ.—4)

ბ-ნ გიორგი ალექს. ძე საბახტარიშვილს

უმართებულო განცხადების გამო (იხ. «ზაკავკ.» N 222, „ტიფ. ლისტ." 254, „მომავალი" 61 და «დროება» 248) იძულებული ვარ ერთხელ კიდევ შევაწუხო პატივცემული საზოგადოება და კლიენტურა, რომ სად. სუმბათოვში მარცხათ დამწვარი სახერხაო ქარხნის სრული პატრონი ვიყავი მე. ბ-ნ გიორგის მიერ ჩამოთვლილ დაწესებულებებს და კერძო პირებს შეეძლოთ მისთვის (რომელიც, საუბედუროდ, ჩემი მკვიდრი ძმაა) კერძოდ ეკითხათ ამბავი, როგორც ყოფილ კომპანიონისთვის და თუ ვინმე შემეკითხა, ეგეც სავსებით გიორგის ბრალია; როგორც გავიგე, ის თურმე ხმას ავრცელებდა, რომ სუმბათოვის ქარხანა (რომელიც ნაყიდობით ხელ-წერილით ვიყიდე) მას ჩემთვის სრულიად არ მიუყიდნია. ყოველივე ამის შემდეგ ამ ვაჭრულ განდიდებით შეპყრობილ ადამიანს იქნებ ვინმე შეეკითხა—მაინც ხმა არ დაზარალდეიო. ვაცხადებ, რომ ჩემს პირველ განცხადებას, რომელიც გამოწვეული იყო თვით გიორგის მიერ უტაქტო განცხადებით, სრულებით აზრათ არა ჰქონია გიორგის ნდობის დაკარგვა. რადგან ეს იქნებოდა თავისივე თავის მტრობა, რადგანაც რასაც გიორგი აწარმოებს ან აწარმოებდა, ყოველივე ეს იყო და არის საერთო მამისხქონებაა და, მაშასადამე, წაგებ-მოგებაში მეც სრული მონაწილე ვარ როგორც ერთი მემკვიდრეთაგანი.

თუ რა აზრი აქვს ბ-ნ გიორგის განცხადებებს, ამას ყველა გონიერი კეთილმობილი ადამიანი მიხვდება, რისთვისაც ბ-ნი გიორგი სხვაგან მიიღებს პასუხს. რაიც შეეხება მის მიერ ჩამოთვლილ დაწესებულებებს, ისინი ყოველთვის კერძოთ ჩემთან აწარმოებდნენ სავაჭრო საქმეებს და არასოდეს გიორგის აპეკისთვის არ მიმიმართავს და შემდეგშიაც შორს ვიქნები მისი აპეკისაგან და «ძმური» რჩევა დარიგებისაგან. ახლო მომავალი და მიუდგომელი საზოგადოების მსჯავრი დაგვანახვებს, თუ რომელი ჩვენთაგანი არის დაშორებული სინიდის-პატიოსნებაზე.

ილარიონ ალექსანდრეს ძე საბახტარაშვილი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—33).

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი მ. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—46)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—54)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთა მოსიარულე ავადმყოფთათვის.

განკის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ჩუდნოვსკი—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი— ებ., ქალ., ყოველდღე 1—2

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

ასპიროვი—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—ნ.—114)

ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. გადმტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ზალ.—56)

ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (ბეგუთის ქუჩა) აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—24)

ქუთაისში

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—38)

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის მეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—42)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—101)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—290)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—43)

მებაღეობა ძმ. ავსარქისოვებისა

იყიდება ხეხილის ხეები საუკეთესო საზღვარ-გარეთულ და ადგილობრივ ჯიშებისა. არის აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. კატალოგი ეგზავნება ყველას უფასოდ პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ადრესი: Ст. Скра Закавк. К. Жел. Дороги, (15—ფ—4)

პატივცემულ საზოგადოების დახმარებამ შეგვაძლებინა განახლება სასახლის კარის წმ. გიორგის ეკკლესიისა. საქართველოს ექსარხოსის მოადგილემ დანიშნა ეკკლესიის ხელახლად კურთხევა სამშაბათს, 10 ნოემბერს წმ. გიორგის ხსენების დღეს.

ამიტომ ვალად ვრაცხ ჩემს თავს, ვთხოვო პატივცემულ საზოგადოებას, დაესწროს ხსენებულ **ეკკლესიის კურთხევას,** რომელსაც შეასრულებს ყ-დ სამღვდელო დავითი, ეპისკოპოსი ალავერდისა.

თავმჯდომარე სამზრუნველოსი

(1—ნ.—1) **კ". ნ ქობულოვისა.**

ვკისრულობ დაცვას

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საამპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—1)

ახალი ამბავი

ადგილებ'ის შესაძენად ჩამოსულნი. 5 ნოემბერს ყუბანის ოლქიდან ტფილისში ჩამოვიდა 25 რუსი გლეხი—„ხოდოკი". ესენი ყუბანის ოლქის სხვა და სხვა ადგილიდან არიან გამოგზავნილნი საქართველოში თავისუფალ ადგილების შესაძენად. „ხოდოკებმა" განაცხადეს: ჩამოვედით, რომ სახელმწიფო მიწები დაგვირიგონ დასასახლებლად და თუ სახელმწიფო მიწები ვერ ვიშოვნეთ, მაშინ დავალებული გვაქვს ჩვენის ფულით შევიძინოთო. „ხოდოკები" წავიდნენ რუსების გადმოსახლებელ სამმართველოში, სადაც უნდა მიიღონ შესაფერისი დარიგებანი და დახმარება.

თავ. ხიმშიაშვილის მკვლელნი. დუშეთის სამაზრო ადმინისტრაციას გაუგია, რომ თავ. ხიმშიაშვილის მკვლელნი სოფ. გლდნის ზემოდ იმალებიანო. დასცემიან ამ ადგილს, მაგრამ ვერავინ უნახავთ. უპოვიათ მხოლოდ ერთი ბერდანა, ტომარა გოგირდი, პატრონები, ნაბადი და შინელი (ნ. რ.)

საქონლის ბირჟა ბათომში. სავაჭრო სამინისტროს პრინციპიალურად გადაუწყვეტია, დაარსოს ბათომში საქონლის ბირჟა.

ანდერძი. ეხლახან ტფილისში გარდაიცვალა შეძლებული ექიმი მრევლიშვილი. როგორც „ნ. რ."-ს გაუგია, განსვენებულს ნაწილი თავის შეძლებისა საქველ-მოქმედო საქმეებისთვის დაუტოვებია.

„საქართველოს მოამბე". დღეს გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის" მეორე ნომერი შემდეგის შინაარსით: „შიმშილი". „ექიმების მოვალეობა", ვასილ წერეთლისა. „სატრფოვ-სიცოცხლევ!" ლექსი, ი. გრიშაშვილისა. „სანდრო ქართველიშვილის სამუშაო დღე", სვ. ყ—ნისა. შინაური მიმოხილვა. „მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდან", ივ. ვართაგავასი". „საინგილოს შეერთება რუსეთთან",—ზ. ედილისა და „ქართულ სამართლის ისტორია", ივ. ჯავახიშვილისა.

ეგზარხოსი. როგორც „ზაკ." გადმოგვცემს, პეტერბურგში საბოლოოდ გადაუწყვეტიათ საქართველოს ეგზარხოსად დანიშნონ ტამბოვის ეპისკოპოსი ინოკენტი;

ტრამვაის შემოსავალი. ტფ. ელექტრონის ტრამვაის, წინანდელთან შედარებით, ეხლა თურმე ხუთასი მანეთი მეტი შემოსავალი აქვს დღეში.

საეპარქიო კრება. საეპარქიო კრება ტფილისში დაიწყება 12 დეკემბერს.

ახალი სასწავლებელი. გუშინ-წინ სალამოთი მოხდა ტფ. ქალაქის გამგეობის სხდომა შიოევის მიერ ნაანდერძევ თანხით სკოლის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. როგორც თავის დროზე ვწერდით, შიოევმა კარგა ბლომა ფული დაუტოვა ქალაქს იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებლით დაარსდეს ტფილისში სახელოსნო სასწავლებელი, სადაც აღიზრდებიან სომხის ბავშვები. ყოველ წლიური წმინდა შემოსავალი შიოევის თანხისა უდრის 12,000 მანეთს. ქალაქის გამგეობამ ეს საკითხი ამას წინად გადასცა ტფ. სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს. გამგეობამ ამ სხდომაზე ოკუნოვის მოხსენება წაიკითხა. ოკუნოვის აზრით, მეორე სახელოსნო სასწავლებლის დაარსება ტფილისში მაგრე რიგად არ არის სასურველი. უმჯობესი იქნება დაარსდეს სამხატვრო სასწავლებელი. გამგეობა პრინციპიალურად თანახმა გახდა ბ-ნ ოკუნოვის აზრისა და აირჩია მცირე კომისია (ს. დონდუროვი, ბ-ნი ოკუნოვი და ფირალოვი). კომისიას დაევალა სკოლის ტიპის შემუშავება და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. კომისიამ გამგეობას უნდა წარუდგინოს აგრეთვე თავისი აზრი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა აღნიშნულ სკოლის შეერთება ტფილისის სახელოსნო სასწავლებელთან. რაც შეეხება მარტო სომხის ბავშვების აღზრდას, რადგან 12,000 მან. არ ეყოფა სასწავლებელს, გამგეობამ დაადგინა დაუმატოს ქალაქის კასსიდან საჭირო თანხა და სკოლას მისცეს საზოგადო ხასიათი იმ პირობით-კი, რომ აღნიშნულ სკოლაში შიოევის თანხის შემოსავალი (12,000 მან.) მარტო სომხის ბავშვთა აღზრდას მოხმარდეს.

პასუხი ავლაბრელებს. როგორც ვწერდით, ავლაბრელებმა (60-მდე კაცმა) საერთო თხოვნა შეიტანეს ქალაქის გამგეობაში. ითხოვეს საბჭოს 1906 წლის გადაწყვეტილების განხორციელება საიჯარო მიწების გამოსყიდვის შესახებ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გამოუცხადოს მთხოვნელთ ტფ. ქალაქის საბჭოს 1908 წლის 9 სექტემბრის დადგენილება. ამ დადგენილებით საბჭომ გამოსთქვა პრინციპიალური აზრი ქალაქის მიწების არ გაყიდვის შესახებ.

ყალბი ერბო. ვინმე ბარსუკოვს ამას წინად ტფილისში გასასაღებლად გამოუგზავნია მთელი ვაგონი ერბო. ტფ. სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტმა ხარაზიანმა ცნობები მიიღო ერბოს საეჭვო თვისებაზე და 52 ბოჭკა დაიჭირა. რადგან ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიის გამოკვლევით, ერბო ყალ-

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი

გლეხთა ამხანაგობა

„კახეთი"

Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноградовладѣльцевъ

„Кахетія"

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა სამიკიტნოში, მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.

10 ბოთლს ზევით ეგზავნება ჩვენის ხარჯით ტფილისში.

По такой этикетъ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалову.

Русская улица домъ Церковный №2

(100—ნ.—13)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყემელაშვილი

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმლების ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ—98)

8 ნოემბრიდან ტფილისში გამოვა ახალი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო რუსული გაზეთი

ნაშ კრაი (ჩვენი მხარე)

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ადგილობრივი ძალები, ისე სატახტო ქალაქების მწერლები და პუბლიცისტები.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 75 კაპ. ერთის წლით 7 მანეთი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქუჩა, სახლი N 7 (Дворцовая ул. д. N 7).

სტატიები, კორრესპონდენციები და განცხადებები მიიღება ამავე ადრესით.

რედაქტორი მიიღებს მოსალაპარაკებლად ყოველ დღე დილის 12—2 ს.

რედაქ.-გამომცემელი **ვლ. თავართქილაძე**

(4—4)

ექიმი ვ ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს [illegible] საღამოთი 6—7 ს. კვირა დღის [illegible]

ბა აღმოჩნდა, ამიტომ ოქმი შეადგინეს. ბარსუკოვი და მისი ტფილისელი წარმომადგენელი ქრისტეფოროვი პასუხის გებაში უნდა იქმნენ მიცემულნი, ქრისტეფოროვმა ქალაქის გამგეობაში კიდეც შეიტანა შემდეგი განცხადება: ბარსუკოვის მიერ გამოგზავნილი „ერბო" ქონია მანქანებისათვის სახმარებელი, ერბოდ ჩვენ იგი არ გვინდოდა გაგვესაღებინა და უკან დავაბრუნეთო. გამგეობამ ოქმი ქალაქის იურისკონსულტს გადასცა საჩივრის ასაძვრელად.

◆ **უბედურება ტრაპიზონში.** ოსმალურ გაზეთის „იკბალ"-ის (რომელიც ტრაპიზონში გამოდის) სიტყვით, 30 ოქტომბერს საშინელი უბედურება დატეხია თავს ტრაპიზონის მკვიდრთ. მდინარე ჰუზგინდერე საშინლად ადიდებულა, გადასულა ნაპირებს და შევარდნილა შუა ქალაქში. მაჰმადიანთა 50 სახლი გაუნადგურებია, ზოგი წაუღია, ზოგიც დაუქცევია. სახლებს ქვეშ ბევრი ადამიანი მოჰყოლია, რომელთა ნამდვილი რიცხვი ჯერაც გამორკვეული არ არის თურმე. ზღვის ნაპირას უნახავთ 20-მდე დამღრჩვალი გვამი.

◆ **ქალაქის საბჭო.** ხვალ, 9 ნოემბერს, საღამოსთვის დანიშნულია ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც განსახილველად აქვს 11-მდე მიმდინარე საქმე. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს გამგეობის მოხსენებას ქალაქის უძრავ ქონებათა ინვენტარის შედგენის შესახებ, აარჩევს წარმომადგენლებს ტფ. საშუალო სასწავლებლებში და სხვა.

◆ **უპასპორტოები.** ჩხრეკის დროს 6 ნოემბერს პოლიციის მეორე ნაწილში დააპატიმრეს 6 უპასპორტო კაცი, ხოლო მე-3 ნაწილში 22 კაცი.

◆ გორის მაზრის სოფელ ვაყაში ვიღაცები თავს დასცემიან ადგილობრივ მემამულეს თავ. ლ. რ. ბეგთაბეგოვს. მოუკლავთ ყარაული. წაღებით ვერაფერი წაუღიათ. (ზ.)

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „სამშობლოს ბურჯნი", ორ მოქმედებიანი სცენები, ნ. აზიანისა (დონდათოვი). ფასი ორი შაური.

◆ ავლაბრის გარშემო ქალაქის ადგილები სახნავი, საძოვარი და სათიბი—იჯარით აქვს აღებული (6000 მან. წელიწადში) შაქარა მარტიროზოვს. მარტიროზოვმა გუშინ განცხადება შეიტანა ტფ. ქალაქის გამგეობაში—წელს გვალვისაგან დიდი ზარალი მომივიდა და მთელ საიჯარო გადასახადს ნუ გადამახდევინებთო.

◆ 5 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, პოლიციის მე-5 ნაწილში აღმოაჩინეს საქონლის საიდუმლო სასაკლაო. სასაკლაო გაუმართავს ტფ. მაზრის მცხოვრებს არსენ ქობულოვს.

◆ 5 ნოემბერს დააპატიმრეს მათე ბოლოტინი, რომელიც გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა ტფილისში.

◆ 5 ნოემბერს, ღამის 12 საათზე, პოლიციელმა კონსტანტინე ისაკაძემ იზმაილოვის ქუჩაზე გავლის დროს რევოლვერით თავი დაიჭრა. მიზეზი უიმედო სიყვარული ყოფილა.

შეცდომის გასწორება. „დროების" მე-246 ნომერში, გრიგოლ რობაქიძის წერილში (ბოლოში) შემდეგი შეცდომა შეპარულა: დაბეჭდილია „მე მაინც სოლოვიოვის როლი კატეგორიებში სულ სხვანაირად მესმის" უნდა იყოს: „მე მაინც სოლვეიგის როლი და სხვ.

საზოგადო საქმე ქუთაისში

ამას წინად მოგახსენეთ, რა აბუჩად ეკიდებიან აქაურ საზოგადო საქმეებს „ზევ-თაც", „ქვევითაც" და „შუაზედაც". თვით საზოგადოება განიცდის ისეთს მომენტს დაძაბუნებისა და დაკნინებისას, რომ ველარა ჰგრძნობს იმ ტკივილებს, იმ შეურაცხყოფას, იმ დამცირებას, რომელიც ეწევა ხოლმე ყოველის მხრიდან.

1 ნოემბერს, როგორც მოგეხსენებათ, აქ მოხდა კერძო კრება, გუბერნიის მარშლის მიერ მოწვეული, ჩვენში საერობო დაწესებულებათა შემოღების საქმის განსახილველად. კრება ფრიად საინტერესო იყო და ნათლადა სჩანდა, რომ საზოგადოება ამ საგანს მეტად მხურვალედ ეკიდება, მაგრამ სჩანდა ისიც, რომ ყოველის მხრით ყოველგვარ დაბრკოლებას ახვედრებენ, რათა საზოგადოებამ თავისი აზრი ვერ გამოსთქვას, იმ ფარგლებში მაინც, რა ფარგალიც ტფილისის გუბერნიაში დაეთმო ამ საგანს. მაშინ, როდესაც ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციამ ამ საქმეს საზოგადო ხასიათი მისცა, საზოგადოების საყურადღებოდ გამოჰფინა და საზოგადო მსჯელობა მოისმინა, აქ „კანცელიარიაში" მაგრა ჩაჰკეტეს ეს საქმე და ის ერთად-ერთი ოფიციალურად შედგენილი და მიღებული პროექტიც, რომელიც ხელთა გვაქვს, შემუშავებულია როგორღაც ფარულად. ამ პროექტს ოდნავადაც კი არ აშჩნევია ის საზოგადო ნიშანი, რომლითაც მდიდარია ტფილისის პროექტები. ვითომ კომისსიის შემუშავებულიც არის ეს პროექტი*), მაგრამ კომისია შესდგებოდა უფრო გუბერნატორის მოხელეთაგან: ხუთი კაციდან სამი მოხელე იყო გუბერნიის სამმართველოისა—აკიმოვი, გოცირიძე და თ. ნაკაშიძე,—ხოლო ორი საზოგადო მოღვაწე—თავადი თუმანიშვილი და ფოთის ქალაქის თავი ბ-ნი ნ. ნიკოლაძე.

ეს უპირატესობა მოხელეებისა აშკარად ეტყვია ამ პროექტს**) და ამას ნათლად ხაზი გაუსვა ამ კერძო კრებამაც. კრებამ ცხადათ აღნიშნა, რომ პროექტს „პოლიციის" სუნი უდისო. ეს ადვილი გასაგებიც არის: მოხელე სულითა და გულით მოწადინებულიც რომ იყოს, „ინსტრუქციის" წინააღმდეგ ვერ წავა. მაგრამ სამწუხარო აქ ის არის, რომ საზოგადო აზრით, ეს პროექტი თითქმის მარტო ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მიერ არის შედგენილი. რაღა თქმა უნდა, საზოგადო დაწესებულების წარმომადგენლისთვის (ქალაქის თავისთვის) და ცნობილ პუბლიცისტისთვის ამგვარი მოქმედება ვერ არის მოსაწონი. პირველ ყოვლისა ზნეობრივი მოვალეობა იყო ბ-ნ ნ. ნიკოლაძისა, რადგან იგი კარგ განწყობილებაშია ხოლმე ადმინისტრაციასთან, დაერწმუნებინა აქაური ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, რომ ასე „კანცელიარულად" ამ საგნის განსჯა შეუძლებელია, თუ არა და სულ უარი უნდა ეთქვა მონაწილეობაზე, რადგან შეუძლებელია ამ დიდ საქმის „შინაურად" მოჩმახვა.

ეს პროექტი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს ორატორებმა პირველ ნოემბრის კერძო კრებაზე. უმრავლესობა პირდაპირ გაკვირვებული იყო, რომ ასეთი მცოდნე კაცები იყვნენ კომისიაში და ერობის მცირე ერთეული-კი საპოლიციო დაწესებულებად გადააქციეს. კრებაზე გამოირკვა სრული უაზრობა და უნიადაგობა ამგვარ ერთეულისა, რომელშიაც მოთავსებული უნდა იყოს საერობო და საპოლიციო ფუნქციები. კერძო კრებაზე სთქვეს ისიც, რომ ვინც მცირე ერთეულს იცავს, იმას ერთი ავიწყდება, სახელდობრ ის, რომ როცა რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია მცირე ერთეულს იცავს, სახეში აქვს რუსეთის „ვოლოსტი", სადაც სცხოვრობს 30—40,000 კაცამდე, მაშასადამე, უდრის იმას, რასაც ჩვენში ერობების დამცველნი რაიონს (участокъ) ეძახიან.

კრებაზე განხილულ იქმნა მეორე „პროექტიც ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოსი", რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველნი უკვე იცნობენ და რომელიც იცავს ორ ხარისხოვან ერობას—სარაიონო და საგუბერნიოს. კრება უფრო მხარს უჭერდა ამ პროექტს. ქუთაისის ქალაქის თავმაც მხარი მისცა დეპუტატთა საკრებულოს პროექტს, მხოლოდ მოითხოვა, გამოირიცხოს ის მუხლი (5), რომელიც ამბობს, რომ „1890 წლის კანონის ერობა ჩვენში გამოუსადეგარიაო": ჩვენაო, სთქვა ქალაქის თვით-მმართველობის წარმომადგენელმა, ის უნდა მივიღოთ, რასაც მთავრობა მოგვცემს, თორემ ყველაფერს დავკარგავთო". კრება, რასაკვირველია, ასეთის შიშით მოცული არ იყო. პირიქით, იმედი აქვს, რომ იმის შენიშვნებს ყურადღებას მიაქცევენ, თუ-კი მართლა სურთ ჩვენში ერობის შემოღება.

კრებაზე მსჯელობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს თავ. დავით ბაქრაძემ, გიორგი ზდანოვიჩმა, იაკობ ფანცხავამ, ილია ჩიქოვანმა, დავით წულუკიძემ და სხვებმა.

კრება გადაიდო დღეისთვის, 8 ნოემბრისთვის. **იმერელი ამომრჩეველი.**

---

*) „Докладъ комиссіи по совѣщанію о введеніи земскихъ учрежденій въ Кутаисской губерніи".

**) თავიდანვე „ცუდად" იწყება ამ პროექტის საქმე. უცნაური მოტივებია ნაჩვენები საერობო დაწესებულებათა შესახებ: „საერობო დაწესებულებანი აღარ შემოიღო მთავრობამ დანარჩენ გუბერნიებში, თუმცა პირველ ხანებში მოწადინებული იყო. ასე უნდა მოქცეულიყო, სხვას გარდა, „изъ за опасенія, вызванныхъ въ правительствѣ уклоненіемъ значительной части земскихъ организацій отъ хозяйственно-экономической дѣятельности для вторженія въ область законодательства и далѣе высшей политики" საერობო ორგანიზაციების (ეშინოდა, რადგან უმეტესმა ნაწილმა გვერდი აუქცია საერობო ეკონომიურ მოქმედებას და შეიჭრა არა თუ კანონ-მდებლობაში, უმაღლეს პოლიტიკაშიაც კი), და ამას აწერია ხელი ნ. ნიკოლაძისა.

სადგილ-მამულო საკითხი

ამ ბოლო დროს ჩვენის პრესსისა და საზოგადოების ყურადღება მიიქცია ტერიტორიის საკითხმა. საკითხი მართლა დიდი და მწვავეა. გასაცდელი კარს გვადგია და თუ ეხლავე საქმეს არ უშველეთ, მერე სინანული გვიან იქნება.

აზრადა გვაქვს ამ საკითხის შესახებ ყველას თავის აზრის გამოთქმის შეძლება მივცეთ. აგრეთვე დავბეჭდავთ ცნობებს მამულის გაყიდვა-ყიდვის შესახებ. დღეს ვბეჭდავთ სამს პატარა წერილს.

1.

ხმა სოფლელ მკითხველისა.

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ვკითხულობთ ცნობებს, რომ ქართველი გლეხობა უმიწა-წყლობით მეტად შევიწროვებულია, რომ ქართველთა სისხლით მორწყული მიწა-წყალი უცხოთა ხელში გადადის, რომ ქართველი მემამულე თავად-აზნაურობა არ უთმობს შეღავათიან პირობებში გლეხობას მიწას და სხვა. ეს, რასაკვირველია, სამწუხაროა და მით უფრო სამწუხარო, რომ ჩვენი პრესსა და საზოგადოება მხოლოდ ფაქტების აღნიშვნით კმაყოფილდება და არაფერ საშვალების მიღებას არა სცდილობს რათა ქართველ გლეხს მიწა შერჩეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტფ. დეპუტატთა საკრებულოსთან არსებულ სადგილ-მამულო კომისიას, რომელიც ვერაფერს საქმიანობას ვერ იჩენს. როგორც ზევითაც ვთქვი, პრესსასა და საზოგადოებაში საყვედური გაისმის იმ ქართველ მემამულეთა მიმართ, რომელნიც მამულს უცხოელებზე ჰყიდიან. პირადად მეც, არა ერთი და ორი მემამულისთვის გამითქვამს საყვედური. სამაგიეროდ არა ერთის და ორისაგან მიმიღია პასუხად, რა ბევრს ვეცადეთ, მამული მეზობელ გლეხებისთვის მიგვეყიდნა, მაგრამ ვერას გავხდითო. ამასვე მოწმობენ წერილები თავ. გელოვანის („დროება"-ში) ლეჩხუმიდან და ბ-ნი ყარანგოზიშვილებისა დუშეთიდან. მაგრამ ეს სხვათა შორის.

არსებითად კი ამ წერილის მიზანია აღინიშნოს ის, რომ მთელი ერის ყოფნა არ ყოფნის საქმეში, როგორიც არის ტერრიტორიის შერჩენა, ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით მარტო იმ იმედებით, რომ ჩვენი მემამულე თავად-აზნაურობა უცხოს არ დაუთმობს მამულს. ეს ტყუილი იმედი იქნება: რაც უნდა თავის ერისადმი გულშემატკივარი იყოს მემამულე, თუ შინაურში ვერ იპოვა მყიდველი, ადგება და სხვას მიჰყიდის, [illegible] მაშინ როდესაც [illegible] ქართველი გლეხობა [illegible] ბა-კი, უსახსრობით თუ სხვა მიზეზით დღეს-დღეობით ვერ ახერხებს მამულის შესყიდვას. სწორედ ამიტომ არის საჭირო დაარსდეს ისეთი რამ ხელმძღვანელი ორგანიზაცია, რომელიც ანგარიშს გაუწევს ამ გარემოებას. მე არ ვიცი როგორი უნდა იყოს ეს ორგანიზაცია ან შეიძლება თუ არა მისი დაარსება, მაგრამ ვგრძნობ კი, რომ აუცილებლად საჭიროა ამგვარ რამის დაარსება. საჭიროა სხვებმაც გამოსთქვან თავიანთი აზრი, რომ საკითხი სავსებით გამოირკვეს. **ხ. ე—ძა.**

2.

მამულის მსყიდველთა საყურადღებოდ.

(ივრის ხეობა)

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო". ეს ანდაზა ზედ გამოჭრილია ქართველებზე. სულ იმას ვიძახით, რომ ჩვენი მამულები სხვის ხელში გადადისო. ვამტყუნებთ ჩვენს თავად-აზნაურობას—სხვა ტომის ხალხზე ჰყიდიან მამულებსაო. ეს საყვედური მართალია, მაგრამ ერთი რამე გვავიწყდება, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენის მამულებისა ბანკებშია დაგირავებული. მათი პატრონები ვერ ახერხებენ სარგებლის შეტანას და მამულები ბანკებს რჩებათ, ან კიდევ სხვა ტომის ხალხი ყიდულობს მუქთად. შეშინებული მემამულენი ეძებენ მათ ყიდვას და რადგან ჩვენს გლეხთაგანს ზოგს ვერ მოუხერხებია მამულების ყიდვა, ზოგს კიდევ ვერ შეუგნია ამ საქმის საჭიროება, მიდის სხვა ტომის ხალხი და მთავრობის შემწეობით ყიდულობს ჩვენ კი დავმსხდარვართ და ვტირით.

აი, ეხლაც ამგვარი შემთხვევაა. ივრის პირას 2000 დესეტინა მამული იყიდება თავ. მალხაზ არჩილის ძე ანდრონიკაშვილისა. როგორც გავიგე, რუსები 75 მან. იძლევიან დესეტინაში. ამ სტრიქონების დამწერს შემთხვევა ჰქონდა მოლაპარაკება თავ. ანდრონიკაშვილთან და მან ერთს დამსწრესთან პატიოსანი სიტყვა მოგვცა, რომ თუ ქართველები იყიდიან, დესეტინას 40 მანეთად მივცემო.

ეს მამული—სახელად „არამ-დარა", კახეთის მომავალ რკინის გზის სად-

მარიამი, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი

3.

გენერალ-მაიორის ივ. პეტ. ლაზარევის მკვლელობა.

(შემდეგი *)

მივიდა თუ არა ლაზარევი მარიამ დედოფლის სასახლეში, მყისვე დაითხოვა იქ მყოფი ქართველი მოხელენი და მოსამსახურენი და უბძანა წასულიყვნენ მარიამის სასახლიდან. შემდეგ მაიორ საკაძით, კაპიტნებით იაკიმოვით და კარაჩაევით, შტაბს-კაპიტნებით ხრუსტალიოვით და სუროკოვით, სოტნიკ კრიმოვით და ქალაქის ნაცვალ სურგუნოვით შევიდა იმ ოთახში სადაც დედოფალი იმყოფებოდა, და გამოუცხადა დედოფალს: ციციანოვისაგან ნაბძანები მაქვს, ეხლავე შვილებით რუსეთში გაგზავნოთ, რისთვისაც ეტლები უკვე მზად არისო. დედოფალი თავის თხოვნაში ამბობს: „მე ვუსაყვედურე, რატომ გუშინ არ შემატყობინე, რომ ცოტად მაინც არის მოვმზადებულიყავი მეთქი, რაზედაც ლაზარევმა მითხრა, გუშინ ბძანება არა მქონდა გამომეცხადებინა, და ტყუილად დროს ნუ ახანებთ, საჩქაროდ ადექით და გზას გაუდექითო". დედოფალმა სთხოვა კიდევ, რომ ბატონიშვილი ოქროპირი სრულიად ავადმყოფია და მოუძლურებული, პატრი ფილიპე ექიმობს, მგზავრობას ვერ აიტანს და ტფილისში დარჩეს, როცა მორჩება, მაშინ გამოგზავნეთ ჩემთანაო. ლაზარევმა ამ კანონიერს თხოვნას დედოფლისას პატივი არა სცა, პირიქით, უარესად შეუტია: ტყუილად ათას მიზეზს ნუ იგონებთ, საჩქაროდ მოემზადეთ, დახანება არ შეიძლებაო. იან მრისხანედ დაუმატა: „მე თქვენ გაჩვენებთ, როგორც არ უნდა წასვლაო". ამ სიტყვებთან ერთად გარედ გავარდა.

ასე მოგვითხრობს თვით დედოფალი მარიამი. ციციანოვი კი ბრძანებს, რომ მარიამმა შესვლისთანავე მკვახე და გადაჭრილი პასუხი მიახალა, რომ არას გზით რუსეთში არ წავალ და არც ნება გაქვთ, ძალით წამიყვანოთო. დასათანხმებლად მიუჩინა ქართული ენის მცოდნე სუროკოვი, რომელსაც უნდა ერჩია დედოფლისათვის, დამორჩილებოდა ბედს და უარი აღარ ეთქვა რუსეთში წასვლაზე, თორემ ძალით წაიყვანდნენ და დედოფლისათვის კარგი არ იქნებოდა ძალით წაყვანა. ამის შემდეგ ლაზარევი გარედ გავიდა ბრძანების მისაცემად და ოთახში, გარდა სურიკოვისა, დასტოვა სურგუნოვი და კრიმოვი. მაგრამ გავიდა თუ არა ლაზარევი,—განაგრძობს ციციანოვი:—ბატონიშვილებმა ჯებრაილმა და თამარმა იძრეს ტანისამოსს ქვეშ დამალული ხანჯლები, ეცნენ სურიკოვსა და სხვათ და სახლიდან გარეკა დაუწყესო.

ლაპარაკი არ უნდა, ციციანოვი ისე არ აღნიშნავს საქმის გარემოებას, როგორც ნამდვილად უნდა მომხდარიყო. სურიკოვსა და დანარჩენთ ისეთი არაფერი ჩაუდენიათ, რომ მათ ბატონიშვილნი ხანჯლებით დაჰრეოდნენ. მიზეზი არსადა სჩანს. მაგრამ საქმე სულ სხვანაირად ყოფილა. როცა დედოფლის უარით გაბრაზებული ლაზარევი გარედ გავარდნილა, უცებ უკანვე დაბრუნებულა ცამეტ-თოთხმეტის ყაზახის აფიცრით,—როგორც მოგვითხრობს თვით დედოფალი მარიამი,—მიუთითებია ხელი ლოგინზედ, რომელზედაც დედოფალი წოლილა უმცროსს ვაჟიშვილით ირაკლით და უბრძანებია შეეპყროთ ისა და ბატონიშვილი თამარი. ყაზახის აფიცრებიც მომვარდნენო,—ამბობს დედოფალი მარიამ,—ზოგი ხელში მწვდა და ზოგმა ლოგინის გათრევა დააპირა. ამ დროს ჩემმა შვილმა ჯებრაილმა ვეღარ მოითმინა, ხანჯალი იძრო და შეჰყვირა: „ვიდრე მე ცოცხალი ვარ, ნებას არ მოგცემთ, დედა-ჩემი აგრე ათრიოთო! გთხოვთ, გარედ გაბრძანდეთ, ჩვენ თითონაც უთქვენოდ კარგად გამოვალთ, რა საჭიროა, რომ ძალით გაგვყავვართ! თამარმაც ყაზახების შემოხვევაზე ფანჯრის დირეზე მდებარე ხანჯალი აიღო ხელში, უპატიოსნოების მიმყენებელთაგან თავის დასაცველადაო.

აი რას აუძულებია ბატონიშვილები თამარი და ჯიბრაილი, ხანჯლები აეღოთ ხელში, დაჰრეოდნენ იქ მყოფთ და გარედ გამოლალვა დაეწყოთ. ციციანოვი და საკაძე ამ გარემოებას მალავენ და არ ამბობენ, რამ აიძულათ ბატონიშვილები, ხანჯლით დაჰრეოდნენ იქ მყოფთ. დამფრთხალი ყაზახის აფიცრები გარედ რომ გავარდნენ, მყისვე გააფთრებული ლაზარევი ამოღებულის ხმლით შემოვარდა ოთახში. ციციანოვი სულ არ იხსენიებს, რომ ლაზარევი ამოღებულის ხმლით შემოვარდა დედოფალთან, ის მხოლოდ იმას ამბობს, ლაზარევმა ჯავრობა დაუწყო დედოფალს, რად აძლევ ბატონიშვილებს ეგოდენ თავხედობის ნებასაო. დედოფალმა, რა დაინახა ხმლით მომავალი გამძვინვარებული ლაზარევი, ალბად თითონაც თავის დასაცველად ხანჯალს სტაცა ხელი. დედოფლის დედა, იმ დროს იქ მყოფი, გამწარებული და მტირალი, ფეხქვეშ ჩაუვარდა ლაზარევს—ევედრებოდა დამშვიდებულიყო. დედოფლის დედა ალბად ქართველთა წესზე იქცეოდა: ორ მოჩხუბარს, იარაღით ერთმანეთზე მიწეულს, შუაში ჩაუვარდები, მანდილს გადუშლი და მოჩხუბარნი მყისვე იარაღს ჩააგებენო. მაგრამ ლაზარევმა და მისმა მხლებლებმა, ყაზახის აფიცრებმა ქართველთა ამ ჩვეულებას ყურადღება არ მიაქციეს. იმათ თუ ყურადღება არ მიაქციეს დედოფლის დედის ვედრებას, პირიქით, ფეხქვეშ გასთელეს მოხუცი ადამიანიო, ამბობს დედოფალი მარიამი. ამ დროს ლაზარევმა მოღერებული ხმალი შემოუქნია დედოფალს თავში, მაგრამ მარიამს ხმალი თავის მაგიერ მხარში მოჰხვდა და დასჭრა. ლაზარევის მოკვლაც სწორედ ამ მომენტს უნდა მივაწეროთ. თუ ლაზარევმა ხმლით დასჭრა დედოფალი, შეძლება გამწარებულ მარიამმაც აღარ დაზოგა ლაზარევი: ხანჯალი ისე მძლავრად ჩასცა ლაზარევს, რომ ამ უკანასკნელმა კარებამდის მისვლა ძლივს მოასწრო და იქვე კარებში დაეცა უსულო.

მაიორი საკაძე ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: შევიდა თუ არა ლაზარევი დედოფალთან და ყვედრება დაუწყო, რად აძლევ შვილებს მაგდენ თავხედობის ნებას, დედოფალმა პასუხად საბანს ქვეშ დამალულს ხანჯალს სტაცა ხელი და მარცხენა მხარში ჩაჰკრა ლაზარევს ისე მძლავრად, რომ ამან კარებამდის მისვლაც ვერ მოასწროო.

თითონ ციციანოვი კიდევ სხვანაირად გადმოგვცემს ამ მომენტს: ღვარძლიანმა დედოფალმა, ლაზარევისადმი შურითა და მტრობით სავსემ, ჩაიკლა რა გულში შურისძიება, თავი ისე უჩვენა, ვითომ მზათა ვარ წასასვლელადაო, და, მიუახლოვდა რა ვითომ გამოსამშვიდებლად ლაზარევს, კალთის ქვეშიდან გამოიძრო ხანჯალი და ისე მძლავრად ჩასცა ლაზარევს, რომ ამ ღირსეულმა და შესანიშნავმა გენერალმა იქვე განუტევა სული.

როგორცა ჰხედავთ, ციციანოვი და მისი ხელქვეითი საკაძე სულ სხვა და სხვა ნაირად გადმოგვცემენ ამ ამბავს. ციციანოვისა და საკაძის ნათქვამიდან გამოდის, რომ ლაზარევი სრულიად უმწიკვლო იყო ამ საქმეში და მთელი ბრალი ბარბაროსს დედოფალს ედება.

თვით დედოფალი მარიამი სრულიად უარსა ჰყოფს ლაზარევის მოკვლას. მე ვერას რომ გავცდი, მხოლოდ იქ გავიგე ექიმ თათულისაგან ლაზარევის მოკვლის ამბავიო. „ვფიცავ ჯერ ყოვლად შემძლე ღმერთს და მერე ჩემთვის ძვირფასს თქვენის იმპერატორობითის უდიდებულესობის ს ცოცხლეს აქნობამდის არც კი ვიცოდი და არც გამეგონა ლაზარევის მოკვლა. იქნება ჩემის უბედურობით წაქეზებულმა, მისმა მტერთაგანმა ვინმემ ჩაიდინა ბოროტ-მოქმედება ესე, რადგან როგორც ქართველთა შორის, ისე რუსთა შორისაც მრავალი მტერი ჰყავდა ლაზარევსაო[7]".

ამრიგად დედოფალი სრულიად უარსა ჰყოფს ლაზარევის მოკვლაში მონაწილეობის მიღებას. ამავე აზრისაა პლატონ იოსელიანი. იგი ლაზარევის მოკვლას მარიამ დედოფალს კი არა, ნიკოლოზ ხიმშიაშვილს აწერს. აი რას ამბობს იოსელიანი: „ლაზარევმა გაბედა, სტაცა ხელი და მრისხანედ უთხრა დედოფალს, ეხლავ გამოდით. ჯარი ვერ მოგიცდით დიდხანს. მაშინ მუნ მყოფმან თავადმან ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა წრაფად ამოიღო ხანჯალი და დასცა ლაზარევს მუცელში. ლაზარევი წაიქცა და თვით ხიმშიაშვილი მეორეს გზის აივანით გავიდა ქალაქიდან და გაიქცა ახალციხეს და მუნ მოკვდა 1807 წ.[8])

ლაზარევი დაეცა უსულოდ, მაგრამ გაფთრებულმა დედოფალმა იარაღი არ დაჰყარა და ახლა სხვა თავის შეურაცხმყოფელებს სწვდაო ამბობს მაიორი საკაძე. ნაცვალი სურგუნოვი იქვე სხვებთან ერთად დაფუსფუსებდა და ახლა მასა სწვდა დედოფალი, მაგრამ სურგუნოვმა მოასწრო, ქუდით ხელი სტაცა ხანჯალში და მარდად წაართვა. იმ დროს როცა სურგუნოვი სცდილობდა, დედოფლისათვის ხანჯალი წაერთმია, ბატონიშვილი თამარი ეცა ხანჯლითვე სურგუნოვს და მარჯვენა მხარში მცირედ დაჭრა. უიმედოდ დარჩენილი დედოფალი ახლა თამარს სწვდა იარაღის გამოსართმევად, მაგრამ ხელები დაიჭრა. სურგუნოვი და კრიმოვი ფიცხლად მივარდნენ და ყველას იარაღი წაართვეს.[9])

იარაღ აყრილს დედოფალს მისცვივდნენ, დაავიწყდათ მისი დედოფლობა და ცემა-ტყეპა დაუწყეს. კაკაბაშვილმა (სომეხი იყო), პოლიციის ზედამხედველმა, ხმალი დაჰკრა დედოფალს. არც ყაზახმა აფიცრებმა დააყენეს კარგი დღე: ერთმა მათგანმა ხანჯალი დაჰკრა და თითებიდან დაწყებული ნიდაყვამდის დასჭრა. ერთმა ყაზახთაგანმა ბატონიშვილს ჯებრაილსაც მოუქნია ხმალი, მაგრამ გამდელმა დაიფარა: ჯებრაილის მაგივრად მას მოხვდა და დაიჭრა. დაჭრილსა და ნაცემ

---

*) იხ. «დროება» N 247.

[7] Дубровинъ: „Закавказье 1803—1806 г."

[8] იხ. „გიორგი მეცამეტის ცხოვრება", ჭიჭინაძის გამოცემა.

[9] Об. „Рапортъ маіора Саакадзе къ Цицiанову", ак., т. II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურიდან (ეხლა კახეთის გზა-ტკეცილიდან) 4 ვერსზეა. სახელმწიფო ტყე 10 ვერსზეა. ივრის არხით ირწყება 300 დესეტინამდის სახნავი. დანარჩენიდან 1300 დესეტინა სახნავია და 400 დესეტინა სათიბი. მამულში მშვენიერი ცივი წყლებია. ამ ადგილის მახლობლად აღმოჩნდა ნავთი.

ერთის სიტყვით, არც კი ღირს იმაზე ბაასი, რომ ეს მამული დესეტინა 40 მანეთზე ბევრად უფრო მეტად ღირს. ამ მამულის ახლო მდებარე (კახეთის სადგურიდან) მამული ტფ. თავ. ანდრონიკაშვილებისა და აბაშიძეებისა გაიყიდა დესეტინა 126 მანეთად.

ვურჩევ ჩვენს უმიწა-წყლო ხალხს, ეშურონ და ხელიდან არ გაუშვას ეს ძვირფასი მამული.

ადრესი: ტფილისი, საპიონის ქუჩა, № 5. თავ. მალხაზ ანდრონიკაშვილს.

კ. ტყავაძე.

3.

კიდევ მამულის გაყიდვა სხვებზე.

როგორც უკვე სწერდა ბ-ნი ვაქირელი გაზეთ „დროების" მე-239 ნომერში, გარეთ-კახეთში (სიღნაღის მაზრა) ჯუგრეთის სადგურის მახლობლად არის მამულები კნეინა თამარ ანდრონიკაშვილისა და თავ. ალექსანდრე დიმიტრის ძის და ნიკოლოზ ილიას ძის აბაშიძეებისა. აპირობენ ეს მამულები მთლად ხალხს მიჰყიდონ. წარმოიდგინეთ, ეს მამულები ჩვენთვის ისეთი უსაჭიროესი რამეა, როგორც ჩვილის ურმისთვის დედის ძუძუ. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, თვით ჩვენ, ხალხიც, იმავე ურმას გვავართ მოუმწიფებლობით. და ან კი როგორ მოგვეთხოვება მეტი, მუდამ ჩაგრიადში და გაჭირვებაში მყოფთ! დიდი სიკეთე იქნება, რომ ზემოხსენებული მემამულენი, ჯიბრში არ ჩაგვიდგნენ, სიხარბე არ გასწიონ, ჩვენ ნაწოვნი დედის ძუძუ სხვაზე არ გაჰყიდონ და ჩვენვე დაგვითმონ შეღავათიან პირობით. არა ნაკლებ სიკეთეს იზამს ის, ვინც ამ საქმეში ხელმძღვანელობას გასწევს, ხალხს შეჰკრებს და ამ საგანზე ზემოხსენებულ მემამულეებთან მოლაპარაკებას გამართავს.

კაჭრეთელი გლეხი **დ. ხოლოდაშვილი.**

სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა.

მეთოთხმეტე სხდომაზე, 6 ნოემბერს, ოცამდე ორატორმა ილაპარაკა, მაგრამ სია ორატორებისა მაინც ვერ დაილია. ბოლოს დაადგინეს, შეზღუდონ ორატორების რიცხვი. შემდეგ სხდომაზე ალბად დასრულდება საერთო კამათი და შეუდგებიან კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას.

6 ნოემბერს სხდომაზე მემარჯვენეებმა გაიმეორეს თავიანთი ძველი საბუთები ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის წინააღმდეგ. დეპუტატმა გრიმმა ისიც კი განაცხადა: კანონში ახალი მუხლი შევიტანოთ, სახელდობრ ის, რომ ებრაელებს აეკრძალოთ მოსამსახურედ დანიშვნაო. ამაზე ცხარე პროტესტი განაცხადა დეპ. კარაულოვმა. დეპ. ტიმოშკინი კიდევ სათათბიროს დაემუქრა, თუ ახალ კანონ-პროექტს მიიღებთ, ჩვენ პირდაპირ ხელმწიფეს მივმართავთ და გავაუქმებინებთო.

კადეტების წარმომადგენელმა განაცხადა, ჩვენ მხარს დაუჭერთ ამ კანონ-პროექტს, მხოლოდ მუხლობრივ განხილვის დროს ვეცდებით შევასწოროთ იგიო.

ილაპარაკეს მემარცხენეებმაც. ტრუდოვიკმა ბულატმა ერთ საათსა და 15 წუთს ილაპარაკა. მან მხარი დაუჭირა გმინის ტიპის სასამართლოს. იგი წინააღმდეგი იყო ქონებრივ ცენზისა და, ამას გარდა, მოსამართლეს ხალხი უნდა ირჩევდესო.

სოც.-დემოკრატმა ბელოუსოვმა პროექტის წინააღმდეგ დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ თავმჯდომარემ ერთი სიტყვის გულისთვის ლაპარაკი აღუკრძალა.

კავკასიელმა დეპუტატებმა ხას-მამედოვმა და გაიდაროვმა მწუხარებით აღნიშნეს, რომ ამიერ-კავკასიისთვის არავინ ზრუნავს. აი, ეს ახალი კანონ-პროექტიც სასამართლოს რეფორმის შესახებ მარტო შიდა რუსეთისთვის არის და კავკასიაში ისევ ძველი სასამართლო დარჩება. ხას-მამედოვმა წინადადება შეიტანა, იქ სადაც არა რუსნი სცხოვრობენ, სასამართლოში ადგილობრივი ენა იხმარებოდესო.

ციმბირელმა დეპუტატებმა ხომ დიდი პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ სასამართლოს რეფორმა ციმბირს არ ეხება. ამ დეპუტატებმა წერილობით განცხადება შეიტანეს, რომ სათათბირომ დაავალოს მთავრობას—შეიმუშაოს პროექტი ციმბირის სასამართლოს რეფორმის შესახებ.

შეკითხვა.

დასასრულ, წაიკითხეს სოციალ-დემოკრატების შეკითხვა საქარხნო და სამთო-მადნო საქმეთა მთავარ საკრებულოს უკანონო მოქმედების შესახებ. როგორც შეკითხვაშია ნათქვამი, ეს საკრებულო ძალიან ხშირად კანონის წინააღმდეგ ცირკულიარებსა სცემს თურმე და ავიწროვებს მუშებს. შეკითხვა დაიცვეს პრედკალნმა და კუზნეცოვმა. სათათბირომ უარ-ჰყო სისწრაფე შეკითხვისა და კომისიას გადასცა იგი.

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან.
7 ნოემბერი.

საზღვარ-გარედ

სოფია. კრებაზედ სიტყვა წარმოსთქვა გარეშე საქმეთა მინისტრმა და სხვათა შორის, სთქვა: ტყუილია ის ხმა, ვითომ ბოლგარიასა და რუსეთს შორის მეგობრული განწყობილება აღარ არსებობდეს. რაც შეეხება სერბიას, მთავრობას სურს, რომ მასთან მეგობრული კავშირი ჰქონდეს. ოსმალეთსა და ბოლგარიას შორის უნდობლობაა, მაგრამ ორთავე სახელმწიფოების მთავრობები გულწრფელად მოწადინებულნი არიან ერთმანეთს ხელი შეუწყონ მეგობრულ დამოკიდებულების განმტკიცებაში. ყოველ შემთხვევაში ბოლგარია-ოსმალეთის მეგობრული დამოკიდებულება დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ მოექცევიან სლავიანებს მაკედონიაში. მთავრობას იმედი აქვს, რომ ოსმალეთის კონსტიტუციონური მართველობა გააუმჯობესებს სლავიანების მდგომარეობას, ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ ოსმალეთში მშვიდობიანობა და წესიერება სუფევდეს, რადგან ეს ბოლგარიას ხელს შეუწყობს განვითარდეს და ასე თუ ისე გავლენას იქონიებს მაკედონიაში მომქმედ ბრბოებზე. ბოლგარია პასუხს ვერ აგებს ამ ბრბოების მოქმედებისთვის. ბრბოების არსებობის მიზეზი მაკედონიის შინაური მდგომარეობაა. ბოლგარიას ბალკანეთზე ისეთი მდებარეობა აქვს, რომ ყოველთვის შესძლებს თავის უფლების დაცვასო.

ბრიუსელი. დეპუტატთა პალატამ დიდი ხნის კამათის შემდეგ მიიღო წინადადება სამღვდელოების და ბერების ჯარში გაყვანის შესახებ. ამას გარდა პალატამ დაადგინა, გააუქმოს კანონი, რომლითაც ამა თუ იმ პირს უფლება ეძლეოდა თავის მაგივრად სხვა გაეგზავნა ჯარში.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. ბიუჯეტის განხილვის დროს ილაპარაკა მთავარმა მომხსენებელმა დუმერმა. დუმერმა ყველა ორატორებს გასცა პასუხი და კერძოდ ჟორესს, რომელმაც მოითხოვა, საფრანგეთმა ნეიტრალური პოლიტიკა უნდა აწარმოვოსო. დუმერმა სთქვა: საფრანგეთს არ შეუძლიან ნეიტრალური პოლიტიკა აწარმოვოს, რადგან ამ შემთხვევაში საფრანგეთი იძულებული გახდება თავის მეგობრებს შეატყობინოს, ჩემი იმედი ნუ გექნებათ, ვერ მოგეშველებით და ეს მაშინ, როდესაც საფრანგეთს სურს და უნდა, სხვისი იმედი ჰქონდეს. საფრანგეთს უფლება აქვს დიდი სახელმწიფოს როლი ითამაშოსო. დასასრულ დუმერმა სთქვა, არა პირდაპირი გადასახადების შემოღება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენსო.

პარიზი. დეპუტატთა პალატა იხილავს ბიუჯეტს. პალატამ დაადგინა უარჰყოს მთავრობის მიერ განზრახული ახალი გადასახადები. მინისტრ-პრეზიდენტი ბრიანი პალატას შეეკითხა, ეხლანდელ სამინისტროს ნდობას უცხადებთ თუ არაო. პალატამ უკან წაიღო თავის დადგენილება და შეუდგა ბიუჯეტის მუხლობრივ განხილვას.

რევოლიუციონური მოძრაობა

ვაშინგტონი. ნიკარაგუას პრეზიდენტმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა შეერთებულ შტატების ორ ქვეშევრდომს, რომლებმაც დახმარება გაუწიეს ნიკარაგუას რევოლიუციონურ ჯარს. პრეზიდენტის გადაწყვეტილება უკვე სისრულეში მოიყვანეს. ამის გამო ნიკარაგუაში გაიგზავნა ამერიკის ორი სამხედრო გემი. შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა ტაფტმა ჯერ-ჯერობით გადასდო ნიკარაგუას ახალ ელჩის მიღება.

ჰაერში ფრენა

ვარშავა. 6 ნოემბერს გაფრინდა ბარონი დეკატერსი. ჰაეროპლანი ფრენის დროს დაეჯახა ფიცრულს. ჰაეროპლანი გაფუჭდა, დეკატერსი მსუბუქად დაშავდა.

რუსეთი

პეტერბურგი. კურსკის გუბერნიაში გაძლიერებული წესები 1910 წლის 4 სექტემბრამდე კიდევ დარჩება.

პეტერბურგი. გაზეთი „როსსია" სწერს: რუსეთში დიდის სიამოვნებით წაიკითხავენ მიუნხენიდან გამოგზავნილ დეპეშას, რომ ბავარიის ზედა პალატამ ერთხმად უარჰყო დეპუტატთა პალატის წინადადება, გააუქმოთ რუსეთთან დადებული ხელშეკრულობა ბოროტმოქმედების გაცემის შესახებო. რა თქმა უნდა რუსეთის საზოგადოებას არ უფიქრნია, რომ დეპუტატთა პალატასამ საკითხის აღძვრით დემონსტრატიულად პროტესტის განცხადება უნდოდა ხელმწიფე-იმპერატორის მიერ ბავარიაზედ განძრახულ გავლის შესახებო.

პოლტავა. ადგილობრივ სასულიერო სემინარიაში სწავლა შესწყდა. სემინარიის ორ უმფროს კლასიდან მოწაფეები გამორიცხეს. მათ სემინარიის მთავრობას პეტიცია წარუდგინეს, პროტესტს აცხადებდნენ სემინარიაში არსებულ წესრიგის გამო. სასულიერო სასწავლებლების რევიზორ ორნავსკის და სემინარიის რექტორის დარიგებამ ვერ გასჭრა. ელიან განკარგულებას სემინარიის დახურვის შესახებ.

სმოლენსკი. საექიმო განყოფილების ზოგიერთ მოხელეების საქმის გამომძიებელმა ჯერ-ჯერობით აღმოაჩინა, რომ ამ მოხელეებს ასი კაცისთვის მიუციათ კბილის ექიმის ყალბი მოწმობები. ხელმეორედ დააპატიმრეს ორი მოხელე. სასტუმროში ამ საქმის გამო დააპატიმრეს ორი გარეშე კაცი.

პეტერბურგი. პენზის გუბერნიაში გაძლიერებული წესები 1910 წლის 4 ნოემბრამდე კიდევ დარჩება.

ნოვოჩერკასკი. ნოვოჩერკასკის და სულინის სადგურებს შუა საქონლის მატარებლები ერთმანეთს დაეჯახნენ. დაიმტვრა 12 ვაგონი და ორი ორთქლმავალი. მძიმედ დაშავდა სამი მოსამსახურე.

პეტერბურგი. დღეს, 6 ნოემბერს, ოლქის სასამართლოში პირველად დამცველად გამოვიდა ნაფიცი-ვექილი ქალი. პროკურორმა პროტესტი განაცხადა: სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა პროკურორის პროტესტი. ამის შემდეგ პროკურორმა მიატოვა სასამართლო. სასამართლოს თავმჯდომარემ საქმე გადასდო.

პეტერბურგი. დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა 1, ავად არის 113 კაცი.

ზღვის ყვავილი

მე გია მქვიან, თეთრი გია,
ზღვის პირს ვიზრდები,
მიყვარს დუმილი, მყუდრო ღამეს
ნორჩად ვიშლები.
ჩემს მწვანე ფოთლებს დილის სიო
ეთამაშება,
კდემით, მორცხვობით ჩემში ჰყვავის
მშვენიერება.

—

ხან ვფითრდები,
ხან ვიბნიდები,
როს, ზღვის ცვარით, არ მეპკურება—
მიყვარს კამკამა...
გრძნობა დანამა, ...
სული განათლდა შუქნალობები.

—

ბინდისას გედი მოსცურავს ჩემკენ,
ჰავლს თეთრ ბუმბულით მოხდენით
არხევს;
მოვა და გულში ჩამიკრავს იგი,
ყელს გადამაჭდევს, ნელად ფრთას
მომხვევს.
ის ათრთოლდება... [illegible] თავს
დაჰხრის
მხურვალედ [illegible]
ვიცი, ალერსით [illegible]
მაგრამ [illegible]

—

ვარ მშვენიერი,—ყვავილთა მეფე,
ნაზად გაშლილი, ტანად შიშველი;
ოჰ, თეთრო გედო, შენ ჩემო ბედო,
იწრაფე, ჩემკენ!.. მოცურდი, გელი!..

ბათომი. **ა. შანშიაშვილი.**

ღია წერილი

ბ-ნს ნიკო ელიავას

სახალხო უნივერსიტეტის გარშემო თქვენ და ვიღაც „მეგობარს" გაზეთ „მომავალში" რაღაც დავა გაქვთ ატეხილი, სადაც, სხვათა შორის, ჩემს სახელს ულირსად იხსენიებთ. ბ-ნ „მეგობარს" გადაუთვალიერებია სახ. უნივერსიტეტის დამფუძნებელ წევრთა სია, შიგ ჩემი გვარიც აღმოუჩენია და გეკითხებათ თქვენ: „მისი (ე. ი. ჩემი) **წარსული** რისი თავდებიაო" თქვენ ამაზე ასეთ პასუხს აძლევთ: „ჩემთვის არა კეთილისაო" და დასძენთ: „ამით მე არ მინდა ბ. ყიფიანის შეურაცხჰყოფა, არამედ იმისი თქმა, რომ სადაც ჩემ ხმას ექნება გავლენა, იქ მე სვ. ყიფიანს სახალხო საქმის სათავეში არ დავაყენებო".

უმორჩილესად გთხოვთ, დაიხმაროთ ბ-ნი „მეგობარი" და აუხსნათ მკითხველ საზოგადოებას: რა იცით ჩემი წარსულიდან ისეთი რამ სამარცხვინო, რომელიც ჩემ სახელს ჩირქსა სცხებს და საბაბს გაძლევთ, საქვეყნოდ ასე შეურაცხმყოთ, გთხოვთ ნურაფერს მოერიდებით და თამამად და ცხადად გამოაშკარავოთ ყველაფერი, რაც კი იცით ჩემი წარსული ცხოვრებიდან.

ხუთი დღის განმავლობაში ველი თქვენს პასუხს.

სვ. ყიფიანი.

აღმოსავლეთი

ინდოეთის ვიცე-კოროლის მოკვლის განზრახვა.

ამ დღეებში დეპეშამ შეგვატყობინა, რომ ინდოეთში ვიცე-კოროლს ლორდ მინტოს ორი ყუმბარა ესროლეს. ვიცე კოროლი შემთხვევით გადარჩა. ინდოეთში ამ ბოლო დროს გახშირდა ტერორისტული აქტების ჩადენა. ადგილობრივი მცხოვრებნი უკმაყოფილონი არიან ინგლისის მართვა-გამგეობისა. ვერ შერიგებიან ინდოელები ინგლისის მმართველების ადმინისტრატიულ თვითნებობასა და უზომო დევნას სამშობლოდან გადასახლებისა და სხვა სახით. ამ უკმაყოფილებას ინდოელები პასუხს აძლევენ. იმათ მეტი გამბედაობა ეტყობათ ამ ბოლო დროს. ეროვნული მოძრაობა თანდათან ფართოვდება და ისეთ საზოგადო ძალად ხდება, რომ თვით ქვეყნის ბატონ-პატრონნი ინგლისელნი იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ.

ლონდონიდან რუსეთის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, რომ ნოემბრის პირველ რიცხვებში ინდოეთის მთავრობამ უკვე გამოაქვეყნა რეფორმა, რომელსაც სამი წლის განმავლობაში იხილავდა მთავრობა და ვერა ბედავდა შემოღებას. ამ რეფორმით ადგილობრივ ინდოელებს მეტი უფლება ეძლევათ საკანონმდებლო დაწესებულებაში მონაწილეობის მიღებისა.

ჩინელები და ადგილობრივი წარმოება.

უცხოეთის გაზეთებმა შეგვატყობინეს, რომ ჩინეთს ახლად გახსნილ ზოგიერთ სეიმში დეპუტატები შეეხნენ გერმანელების კონცესიებს და უმრავლესობა იმ აზრს დაადგა, რომ ჩინეთის მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გააუქმოს ხელშეკრულებანი გერმანელებთან, ხოლო ზარალი უნდა აუნაზღაურდეთო. ეხლა კიდევ იტყობინებიან პეკინიდან, რომ პეჩილიის პარლამენტმა განიხილა საკითხი ჩინეთში უცხოელების წარმოების შესახებ. ოპოზიციის წარმომადგენლებმა ერთხმად მოითხოვეს, რომ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე (მთა-მადნები და სხვა) თვით ჩინელების კაპიტალითა და შრომით უნდა იქმნას დამუშავებულიო.

როგორ შეხვდნენ ჩინეთში თავ. იტოს მოკვლას.

მანჯურიიდან რუსეთის გაზეთებს ატყობინებენ დეპეშით, რომ იტოს მოკვლამ ჩინელებში რაღაც დაფარულ სიხარულის გრძნობა გამოიწვიაო. ოფიციალურ წრეებში გარეგნულად თავ-დაჭერილად იქცევიან, მაგრამ ნამდვილად კი მეტად გახარებულნი არიან, რომ იტო, რომელსაც ჩინეთის დაუძინებელ მტრადა სთვლიდნენ, მოჰსწყდა პოლიტიკურ ჰორიზონტს. კორეის დამოუკიდებლობის დაკარგვის ერთად-ერთ დამნაშავედ თავ. იტოს სთვლიან ჩინეთში. საზოგადოდ კი ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებულია კორეის დამოუკიდებლობის წართმევით.

დედოფალს გული წაუვიდა, დედამისი და მსახურნი მისცვივდნენ მოსაბრუნებლად, მაგრამ ჯარის-კაცებმა ნება არ მისცეს და გარეკეს.[10]

ამ ამბავმა ელვასავით გაირბინა მთელს ქალაქში. მაიორმა სააკაძემ ფიცხლავ შეატყობინა ყოველივე ციციანოვს და სთხოვდა განკარგულებას. გაცოფებული ციციანოვი სიბრაზისაგან ცეცხლებსა ჰყრიდა და შფოთავდა. მოკლულის ლაზარევის მაგიერ დედოფლის გასაცილებლად ორბელიანი და ტურკოვი დანიშნა და სასტიკი განკარგულება მოახდინა, ფიცხლავ მოეშორებინათ დედოფალი ტფილისიდან.

მარიამი ოჯახობით მყისვე ჩასვეს ეტლში და რუსეთის გზას გაუყენეს. აი, როგორ აგვიწერს თვით დედოფალი მარიამ ტფილისიდან წასვლას:

„მოვიდა თუ არა დიმიტრი ორბელიანი, ბძანება გასცა ტახტიდან გადმოვეღეთ და საზანზე დავეწვინეთ. მერე ხელით გამომიყვანეს გარედ და ჩამსვეს ლაზარევის მიერ მომზადებულს ეტლში. ნაცვალმა სახლიდან გასისხლიანებული ჩემი ბალიში გამოიტანა და თავით დამიდო. ამდროს ზემო სართულიდან ჩამოვიდნენ რიფსიმე და გაიანე სეფე ქალებითურთ. უში და ქვითინი დაიწყეს ჩემ უბედურ მდგომარეობით შეწუხებულებმა, მაგრამ ჯარის კაცებმა აღარ დაათავებინეს და ისევ სახლში შერეკეს.

„შვილები ცალკე ეტლში (დროგში) ჩამისხეს, მაგრამ მტირალი ირაკლი არ დადგა და ისევ ჩემსკენ გამოიწია. აქ მოიყვანეს 40 თუ 50 მუშა, რომელთაც ამწვის წასაყვანად. რადგან ჭრილობა შეხვეული არ მქონდა, სისხლი თქრიალით გამომდიოდა.

„ხალხი ზღვასავით მოგვაწყდა. ჩემს ამბავს ელვასავით გაერბინა მთელს ქალაქში და როგორც ქართველნი, ისე რუსნიც გადმომდგარიყვნენ სახლის აივნებიდან და, საზარელ სურათით შეწუხებულნი, სტიროდნენ, თავ-პირს იხოკდნენ, თმას იგლეჯდნენ, რა გვხედავდნენ მე და ჩემს შვილებს ასეთს უკიდურესს მდგომარეობაში. ჯარის-კაცნი ერეკებოდნენ ხალხს, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიდნენ და სამღვდელოებით ჯგუფ-ჯგუფად უკან მოგვდევდნენ".

ასე გააცილეს და მოაშორეს ტფილისს საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი. გააცილეს ისე, როგორც ტყვე და კაცის მკვლელი, შეურაცხყოფილი და პატივ ახდილი. გენერალს ტუჩკოვს, რომელიც, ციციანოვის ბრძანებით, კავკავამდის გაჰყვა დედოფალს, ნაბძანები ჰქონდა, ისე მოეპყრა დედოფალს, როგორც ტყვესა, კაცის მკვლელს და არაფერი პატივის ცემა არ გაბედოო. გარდა ამისა, ტუჩკოვს ნაბძანები ჰქონდა, არა თუ იარაღი, უბრალო დანაც კი არ ჩაუგდოთ დედოფალს ხელში, რადგან დედოფალს შეუძლიან ლაზარევის დღე სხვასაც დააყენოს ან კიდევ თავი მოიკლასო.

მცხეთაში მისული გენ. ტუჩკოვი წერილს იწერება—საჭიროა ექიმიო, და სთხოვს ციციანოვს, გამოგზავნე ჩემი პოლკის მკურნალიო. ლაპარაკი არ უნდა, დედოფალი მარიამ მძიმედ ყოფილა დაჭრილი და არა სრულიად უვნებელი, როგორც ციციანოვი და სააკაძე გაიძახიან. დედოფალს მარიამს ტფილისიდან გამოსვლის დროსაც ვერაზე შეუხვია ჭრილობანი ექიმმა თათულამ. მაგრამ ალბად ისე მძიმედ ყოფილა დაჭრილი დედოფალი, რომ ერთის შეხვევით არაფერი გამოვიდა და საჭირო იყო ექიმი კავკავამდის, თორემ ტყუილად არც ტუჩკოვი მოითხოვდა.

ციციანოვმა დედოფალს უკან გაადევნა დიდძალი მცველი ჯარი, რათა დედოფალს არაფერი განეზრახა გზაზედ და მისთვის დახმარება არავის გაეწია. ციციანოვს გაგებული ჰქონდა, რომ დედოფალმა წინდაწინვე თაგაურელებთან დაიჭირა საქმე. თაგაურელებს, როგორც მოგეხსენებათ, უჭირავთ ჩრდილოეთის მხრივ დარიალის ხეობის შესავალი, ვიწრო ხეობების სწორედ ის ადგილები, სადაც საქართველოს სამხედრო გზა მიდის. სოფ. ჩმი, ჯარიახი და სხვანი, რომელნიც ამ ვიწროების ფრიალო კედლებზე არწივის ბუდეებსავით არიან გადმოკიდულნი, დიდს საშიშს წარმოადგენენ და მათზე იყო დამოკიდებული საქართველოს სამხედრო გზაზე მიმავალთა ბედიღბალი. ამ მთის არწივების ძალასა და მნიშვნელობას კარგად ჰგრძნობდნენ როგორც ქართველები, ისე მით უმეტეს რუსები და როცა საჭიროება მოითხოვდა, ერთნიც და მეორენიც არაფერსა ზოგავდნენ მათ მისამხრობად. რუსეთის მხედრობა საქართველოში შემოსვლისათანავე ათასნაირად ასაჩუქრებდა თაგაურელებს, რომ თავისს მომხრედ გაეხადნა ისინი. მათვე მიჰმართა მარიამ დედოფალმა გაჭირვების დროს, როცა ციციანოვი ძალას ატანდა, გინდა თუ არა რუსეთში უნდა წახვიდეო. დედოფალმა თაგაურელებს 1000 მანეთი გაუგზავნა *) და სთხოვა, უკეთუ ძალით წამიყვანენ, წინააღმდეგობა გაუწიეთ და არ გამიშვათ რუსეთისკენაო. ციციანოვმა იცოდა ეს და ყოველივე ზომა მიიღო, რომ თაგაურელებს ვერაფერი დახმარება ვერ გაეწიათ. დედოფალი მართლაც უვნებლად გაატარეს დაბალს ხეობას, თაგაურელების წყალ-მიდამოს გააცილეს, მოზდოკში მიიყვანეს და იქიდან რუსეთის გზას გაუყენეს.

დედოფლის გაცილებისათანავე მისი სასახლე გაჩხრიკეს და აღმოაჩინეს 15 თოფი, 2 დამბაჩა, 5 ხმალი, 2 ხანჯალი და მრავალი თოფის წამალი და ტყვია.

ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა საქართველოში მარიამ დედოფლის ამბავი, რანაირად აღელვებდა დაჭრილის, დაკოდილის და შეურაცხყოფილის დედოფლის ესრედ წაყვანა. ხალხში ჯერ კიდევ დიდი იყო პატივისცემა სამეფო სახლობისადმი, იმ სამეფო სახლობისადმი, რომელნიც მთელი საუკუნოების განმავლობაში განაგებდნენ საქართველოს მიწა-წყალს და რომელნიც ეხლა საუკუნოდ მოაშორეს სამშობლოს. ეჭვი არ არის, ხალხის აღშფოთება დიდი უზომო იქნებოდა. რუსეთის დიდ მომხრე, თვით ერთ ყაზბეგთაგანს, რომელნიც ბატონნი იყვნენ ხევისა, სადაც მოიკლაკნება საქართველოს სამხედრო გზა, და რომელთაც ფიცის შემდეგ ერთხელაც არ უღალატნიათ რუსეთის მხედრობისათვის, ასე უთქვამს დუშეთის კაპიტან-ისპრავნიკის სტაროსვეტსკისთვის: „ჩვენმა შეურაცხოფილმა დედოფალმა მოჰკლა თქვენი გენერალი. ჩვენი გვარეულობა ცოტას არ ნიშნავს მთაში და შენ თითონაც ორს დღეს აღარ გაზოგინებთ აქაო".

შეძრწუნდა ყველა, ჰღელავდა დიდი და პატარა. შესაძლებელი იყო, არა სასურველი შედეგი მოჰყოლოდა ამ მღელვარებას. ციციანოვმა კარგად აიღო ალლო ამ გარემოების და არა თუ დაწვრილებით არ გამოიძია საქმე, პირ-იქით, მცირე გამოძიების შემდეგ სრულიად გაანთავისუფლა ის პირნიც, რომელნიც ხელს უწყობდნენ თუშ-ხევსურეთში დედოფლის გაპარების განზრახვას და დავიწყებას მისცა მათი საქმე იმ დრომდე „ვიდრე განგება ღვთისა თვით არ გამოაშკარავებს ამ საქმესო".

ზ. ედილი.

(შემდეგი იქნება)

---

[10] Дубровинъ. „Закавказ.", დამატებამი

*) об. „Джаръ и Белаканы", Въ [illegible] 689 გვ. ტ. П.

სპარსეთის ამბები.

არდებილიდან იტყობინებიან დეპეშით, შახსევენები და მათი ბელადი რახიმ-ხანი თავის ნებით გავიდნენ ქალაქიდან. სანამდის მთავრობის ჯარი და ახლად დანიშნული გუბერნატორი შევლენ არდებილში რუსის ჯარი დაიცავს ციხესაც და თვით ქალაქსაც.

მეჯლისის გახსნას დიდის ამბით მიეგებნენ სპარსეთის ყველა ადგილებში. თავრიზში მთელი ქალაქი სადღესასწაულოდ მორთეს, საღამოთი შუშხუნები აუშვეს და ჭაღებით გააჩირაღდნეს. სპარსეთის საკონსულოებშიაც დიდის სიხარულით შეეგებნენ მეჯლისის გახსნას. სტამბოლის საელჩოში სადღესასწაულო სადილი გამართეს და მიიწვიეს სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. ასტარის ენჯუმენიც ალტაცებით შეეგება მეჯლისის გახსნას. ორასჯერ გაისროლეს ზარბაზანი. ქალაქი და ბაზარი ეროვნულ ბაირაღებით იყო მორთული, საღამოზე მთელი ქალაქი გააჩირაღდნეს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა. დღეს ქართულ თეატრში ქართული დასი წარმოადგენს ჰეერმანსის პიესას „იმედის დაღუპვა“-ს. ადგილების ფასები ძლიერ დაკლებულია. პარტერში ადგილები ღირს 1 მან. 50 კ. 50 კაპ. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები ქართული დასისა. ვურჩევთ, ვისაც ეს პიესა არ უნახავს, წავიდეს დღეს თეატრში.

ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი. „ტფ. სობრანიეს“ მამასახლისთა საბჭოს დაუდგენია, მონაწილეობა მიიღოს ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეიში. მსახიობს ადრესს მიართმევს განსაკუთრებული დეპუტაცია, რომელშიაც შედიან ვ. მ. თუმანოვი, ი. მ. დოლუხანოვი და მ. ა. ჯაბარი.

სახალხო წარმოდგენების გამმართველი წრე. კვირას, 15 ნოემბერს, ტფ. სათავად-აზნაურო ბანკში დილის 11 საათისათვის დანიშნულია ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის წევრთა კრება. კრების საგანია: წრის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა, ახალ წევრების მიღება, გამგეობაში სცენის-მოყვარეთა წარმომადგენლის არჩევა და სხვა.

მოსკოვი (ა. პ. დავიდოვის ლექცია სასცენო ხელოვნების „შესახებ). ამას წინად ა. პ. დავიდოვმა თავის ლექციით დიდი ხალხი მიიზიდა. ლექცია შეეხებოდა საზოგადოდ სასცენო ხელოვნების ახალ მიმართულებას. ლექტორი ნეო-რეალიზმის მომხრეა. დავიდოვს არა სწამს მისტიურ-მეტაფიზიკური და დეკადენტური დრამები, რომელთაც, მისის აზრით, პირველი ადგილი დაიჭირეს თანამედროვე თეატრებში და ამბობს:

„სასცენო ხელოვნებაში სტილიზაციის მომხრე მწერალნი, მისტიკოსები, მეტაფიზიკოსები და ნეო რომანტიკოსები, გამსჭვალულნი „ახალის“ მიმართულებით, აცხობენ ისეთ დრამებს, რომლითაც მსახიობს სრულიად დაუკარგეს პიროვნება. (მაგალითისათვის მოჰყავს „ანათემა“ და „ადამიანის ცხოვრება“). მსახიობი გააქრეს სცენიდან. სამაგიეროდ წინ წამოაყენეს რეჟისორი, რომლის ბრძანებითაც მსახიობი მოქმედებს სცენაზე... მსახიობი ახალ რეჟისორისათვის პიროვნებას, ინდივიდს არ წარმოადგენს, იგი მარიონეტია“... ამის დასამტკიცებლად დავიდოვმა მოიყვანა ფ. სოლოგუბის სიტყვები: „მსახიობი და ისიც ნიჭიერი პიესისათვის მავნებელია“. ამ აზრით გამსჭვალულმა და რაღაც ახალის შექმნის სურვილით მადა აღძრულმა თანამედროვე რეჟისორებმა მაგარის ჯაჭვით შებოჭეს მსახიობი. არ აძლევენ ნებას გაშალოს თავისი ღვთიური ნიჭი და ამით ჩვენ, მაყურებელნი, დაგვატკბოს. მსახიობიც ემორჩილება რეჟისორს. არ უწევს წინააღმდეგობას, ბრმად მისდევს.

მაგრამ თვით ცხოვრება გამოესარჩლა მსახიობს. ცხოვრებამ სასტიკი ომი გამოუცხადა ამ ცრუ მიმართულების გზაზე მდგარ ხელოვანთ. სტილიზაციის მამათ-მთავარმა, დიდად ნიჭიერმა მეიერხოლდმა პირველმა აუღო ალღო მისტიურ პიესებს. პირველმა მან ახადა ფარდა ამ საიდუმლოებას და მიხვდა, თუ როგორ უნდა დაიდგას სცენაზე მისტიური პიესები, მაგრამ ეს ცდა ცხოვრების შეუფერებელი იყო, კიდევაც დამარცხდა და თავი მიანება. ეს ცხადად ამტკიცებს ახალ მოდის ლიტერატურისა და სასცენო ხელოვნების უვარგისობასაო.

ლექტორმა დაფაზე დახატა სამკუთხი პირამიდა, მაღლა დააყენა მსახიობი და სთქვა: „სცენაზე პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მსახიობს, მეორე ავტორს და მესამე და უკანასკნელი—რეჟისორს. რეჟისორი მოწესრიგეა, რეგულიატორი, შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც აერთებს შინაგან პოლიტიკას“. ლექტორი სწუხდა და ჰგოდებდა ზე-მსახიობზე, რომელიც გასწყვეტს ამ ჯაჭვს და ძლიერ, დამოუკიდებელ, თავისუფალ სცენაზე თავისუფლად შეჰქმნის ტიპებს. მაგრამ—განაგრძო მან:—ეს შესაძლებელია მხოლოდ ნეორეალისტურ დრამებში. ნეორეალისტი დრამატურგი ჰხატავს ცოცხალ ადამიანის სულსა და გულს, მსახიობი კი მას სულს უდგავს სცენაზე... და ნეორეალისტები, პრინციპიალური მტერნი მეტაფიზიკურ და მისტიურ ხელოვნებისა, სცდილობენ ზეგავლენა იქონიონ თეატრზე და რეჟისორის ჩამოშორებით ხელი შეუწყონ მსახიობის აღდგენას“.

ლექტორი თავის ლექციას ამყარებდა სამხატვრო თეატრზე.

პასუხი გასცეს: სერგეი იაბლონოვსკიმ. ევგ. ჟურაკოვსკიმ (ლიტერატორები არიან), კ. ა. მარჯანიშვილმა (ნეზლობინის თეატრის რეჟისორი) და ლ. ა. სულერჟიტკიმ (სამხატვრო თეატრის რეჟისორი).

„მიკვირს,—დაიწყო ოპონენტმა სულერჟიცკიმ:—რად ეუცხოვა ეგრე ძალიან პატივცემულ ლექტორს მისტიციზმი? განა ძველად არ იყო მისტიური ლიტერატურა? არ ებრძოდნენ ღმერთებს, არ იმართებოდა მისტიური წარმოდგენები? რეჟისორსა და მსახიობთა შორის დამოკიდებულების საკითხი არც-კი არსებობს. მსახიობი თავის შემოქმედებაში სრულიად თავისუფალია. მსოფლიო ჰენიოსი სტანისლავსკი ამბობს: „თუ მსახიობი რეჟისორზე ნიჭიერია—რეჟისორი მსახიობს მისდევს, თუ რეჟისორია ნიჭიერი—მსახიობს გაიყოლიებსო“. სამხატვრო თეატრს მუდამ ესა ჰქონდა მიზნად: შეემუშავებინა ნიჭიერი მსახიობნი და კიდეც მიაღწია თავის მიზანს: კაჩალოვი, მასკვინი და სხვანი. მისტიციზმს არასოდეს არა ჰქონია მსახიობზე ცუდი გავლენა, არ დაუკარგავს მისი პიროვნება. არც ამგვარ პიესებს დაუჭერია სცენაზე პირველი ადგილი. დეკადენტური პიესები არც კი არსებობს და მისტიურს არც ერთ სცენაზე არა თამაშობენ. რაც შეეხება სიმბოლიურს—განა იქ არ არიან გმირები, საცა მსახიობს თავისუფლად შეუძლიან გამოიჩინოს ნიჭიერება? მაგალითად: ლ. ანდრეევის „ანათემაში“—თვით ანათემა, დ. ლეიზერი, მეტერლინკის „ლურჯ ჩიტში“—ტილტილი, კატა, ძაღლი და სხ.“

ევგ. ჟურაკოვსკიმ ახალი საკითხი წამოაყენა. მან სთქვა: თეატრი უნდა იყოს ტაძარი სიმართლისა და კეთილისა, რომელსაც ავტორი აქსოვს თავის პიესაში. მაშასადამე, ყველაფერი უნდა მომდინარეობდეს ავტორისაგანაო; მაგრამ ამაზე ს. იაბლონოვსკიმ უპასუხა: „ეს აზრი „ძია ვანოში“ პროფესორის აზრსა ჰგავს, რომელიც ამბობს: „რა საჭიროა თეატრში წასვლა, საცა უბერავს, ხმაურობა და ყვირილი გაისმის. გამოსვლისას, როცა პალტოს ვიცვამ, ათას მუჯლუგუნს წამკრავენ ხოლმე და ქუჩაში შეიძლება გავცივდე და ანთებითაც ავად გავხდე... უკეთესი არ იქნება ვიყიდო პიესა, დავჯდე მყუდრო სახლში და წავიკითხო. თეატრში უნდა დავინახო ხელოვნება, სრულის ამ სიტყვის მნიშვნელობით, მაგრამ ნიჭის ძალით ჩაქრობის მომხრე კი არა ვარ. ჯერ-ჯერობით არც სამხატვრო თეატრს ჩაუდენია ასეთი დანაშაული. იქაც გამოჩნდნენ ნიჭიერი მსახიობნი და სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო ხელს უწყობენ მათის ნიჭის გაფართოებას“.

კ. მარჯანიშვილმა მოკლედ აღნიშნა, რომ „თეატრში არიან მსახიობნი, ავტორი და მაყურებელი საზოგადოება. რეჟისორი არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. იგი მხოლოდ საზოგადოებისა და კრიტიკოსის მაგივრობას უწევს მსახიობს... რეჟისორი მსახიობის ის პირველი და მახლობელი მეგობარია, რომელიც ეუბნება მას ნაკლს თუ ღირსებას. რეჟისორი რომ არ იყოს, თეატრი მაინც იარსებებს“...

დასასრულ, ლექტორმა თავისი პოზიცია დაიცვა. სხვათა შორის სთქვა: „რამდენად უნდა დაკნინდეს დრამატიული ლიტერატურა, რომ თავის გმირების სული კატისა და ძაღლის სულებში ეძიოსო“... აუდიტორიაში ძლიერი სტვენა გაისმა. იგი ალბად მეტერლინკის „ლურჯ ჩიტს“ გულისხმობდა.

ლექტორი უკიდურესი რეალისტია. მას არ უნდა წუთით მაიც გაჰყვეს ადამიანის ოცნებას და ჩვეულებრივ ცხოვრების მაღლა აიწიოს.

ვალ. შალიკაშვილი.

რუსეთი

◆ **პოლონელ-მოსამსახურეების დათხოვნა.** „კასპი“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ხმა დადის, რომ ჩრდილოეთ-დასავლეთ რუსეთის ყველა რკინის გზებიდან იანვარში დაითხოვენ ყველა პოლონელ-მოსამსახურესო.

◆ **ქალები.** საერო განათლების მინისტრს განუზრახავს უმაღლეს სწავლა დამთავრებულ ქალებს ისეთივე უფლება მისცეს როგორიც მამაკაცებს.

◆ **მთელი სოფლის ამოწყვეტა.** ამ რამდენიმე ხნის წინად კუნძულ სახალინზე რუსების სოფელ გოლსკაიაში შავი ყვავილი გაჩენილა. შავ ყვავილს სულ ერთიანად გაუწყვეტია სოფლელები, გადარჩენილა მხოლოდ ერთი ბებერი კაცი.

◆ **ამ დროინდელი სტატისტიკა.** პირველ ოქტომბრიდან გასულ ოქტომბრამდის სამხედრო სასამართლოებს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 136 კაცისთვის, აქედან: ეკატერინოსლავში 15 კაც., სევასტოპოლში 10, ნიკოლაევში 9, ხარკოვში 9, ტფილისში 6, ბათუმში 8, მოსკოვში 4, სარატოვში 8, ეკატერინოდარში 8, ვორონეჟში 6, ტომსკში 4, პეტერბურგში 2, უფაში 4, კიევში 9 და სხვა.

სულ ამა წლის პირველ ათ თვეში სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 462 კაცისთვის, სიკვდილით დაუსჯიათ 462 კაცი. გასულ თვეში სიკვდილით დაუსჯიათ 15 კაცი.

მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობებს პრესის შესახებ. ოქტომბერში ადმინისტრაციის განკარგულებით დაუჯარიმებიათ 22 გაზეთი, სულ 6,400 მანეთით. დაუჯარიმებიათ შემდეგი გაზეთები: „ფინლიანდია“ (1000 მანეთით), „პეტერბ. ცაიტ.“ (1000 მ.), „ნოვაია რუსი“ (1000 მ.), „ორლ. ვესტ.“ (500 მ:), „ბუდილნიკი“ (500 მ.), „ვსეობშჩ. გაზ.“ (ორჯელ, ხუთას-ხუთასი მან.), „სარატოვსკი ვესტ.“ (300 მან.), „პოლესიე“ (1000 მ,), „ზემშჩინა“ (300 მ.), „რუსკ. სლ.“ (500 მ.) და „სმოლენ. ვესტ“ (200 მ.). რა თქმა უნდა სრული არ არის ცნობები და დანამდვილებით ერთი-ორად და სამად მეტი ჯარიმა გადახდა ბეჭვდითი სიტყვას. ესევე ითქმის სიკვდილით დასჯის შესახებ. აქ მოყვანილია ის ცნობები, რომლებიც გაზეთამდე მისულან. სულ ამა წლის პირველ ათი თვის განმავლობაში გაზეთები დაუჯარიმებიათ 71,725 მანეთით.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ამასთანვე გიახლებთ 8 აგვისტოს დაბა სურამში გამართულ კონცერტის ანგარიშს და თან სურამის მამების საყურადღებოდ ცოტაოდენ განმარტებას იმ უწესოების შესახებ, რომელიც არსებობს პარკში წარმოდგენების დროს და რომლის მოწყალებითაც წარმოდგენების შემოსავალი სხვას უფრო აძლევს სარგებლობას, ვიდრე იმ საქმეს, რომლისათვისაც ისინი იმართება.

მე მოგახსენებთ იმაზე, რომ წარმოდგენების დროს სეზონის ბილეთები მოქმედებენ და ამას მოსდევს შემდეგი: ხშირად დიდი ნაწილი სეზონის ბილეთების პატრონებისა უფრო იმიტომ დადის პარკში, რომ საზოგადოება ნახოს, საზანდარ-დუდუკის ხმა მოისმინოს, მორთული კიოსკები შორიდან ათვალიეროს და საზოგადოდ თვალს-წყალი დაალევინოს, მათთვის მაინცა და მაინც ისე საჭირო არ არის წარმოდგენების დროს თვით თეატრში შესვლა, რომლის ნახევრად ღია კედლებიდან თითქმის სულ ისმის არტისტების ლაპარაკი და ვინც უფრო მოურიდებელია, თეატრის გარშემო ხეებზე აცოცვით და სკამებზე შედგომით ხომ ხედვითაც ყველაფერს კარგად ჰხედავს.

უფრო აშკარად და საგრძნობლად იჩინა თავი ამ უწესოებამ 8-ს კონცერტის საღამოს. კონცერტის მოსმენა გარედანაც ადვილი შეიქმნა, და იმ დროს, როდესაც პარკი ხალხით გაიჭედა, თვით თეატრის შენობაში ადგილები ცარიელი იყო. ცხადია ასეთ შემთხვევაში ვინ ჰკარგავს და ვინ არის მოგებაში. მომავლისათვის მაინც უნდა მოეღოს ბოლო ასეთ ანგარებას, რასაკვირველია, სეზონის ბილეთის ამღები არ ისურვებს პარკში სეირნობაზე ხელი აიღოს, მეტადრე როცა წარმოდგენების ისეთი ხშირია, როგორც ეს ამ ზაფხულს იყო, მაგრამ საჭიროა, რომ თვით წარმოდგენების რიცხვი იყოს განსაზღვრული და ამავე დროს არც სეზონის ბილეთებს ჰქონდეთ გასავალი. ასე არის ყველგან, სადაც კი სეზონის ბილეთები არსებობს. და განა სხვა-გვარი მრავალი მოუწყობლობა არ ეყოფა დაბა სურამს, რომ ეს უწესოება მაინც ჰქონდეს თავიდან აცილებული?!

ამის მოწესრიგების მოვალეობა აძევს იმ პირთ, რომელნიც განაგებენ სურამის პარკის საქმეს და რომელთა საყურადღებოდაც ვწერ ამ სტრიქონებს.

ანგარიში 8 აგვისტოს სურამში გამართულ კონცერტისა.

შემოსავალი: ბილეთებისა 295 მან. 70 კ. კიოსკისა 18 მ. 2 კ. ვახშმისა 45 მ. სულ 357 მ. 22 კ.

ხარჯი: ვ. სარაჯიშვილს 150 მ. ფალიაშვილს 26 მ. 70 კ. ძნელაძეს 20 მ. აბაშიძეს 5 მ. მარკები 15 მ. 34 კ, აფიშები 4 მ. 50 კ. ბილეთები 4 მ. 25 კ. ვახშამი 39 მ. აფიშების გასაკრავი 1 მ. 40 კ. კიოსკის ხარჯი: კონფეტები, კონვერტი, ფოსტის ქაღალდი, ხილი 15 მ. 76 კ. თეატრის შენობა 25 მ., ბუფეტის მოსამსახურეთ 2 მ. მეზურნე 3 მ., სალაფებს პიანინოს გადატან-გადმოტან სთვის 3 მ, მუშებს პარკში 2 მ. 50 კ., მისვლა-მოსვლა ტფილისში, გორში სურამში, ეტლები 22 მ. 10 კ., წვრილი ხარჯი 1 მ. 5 კ., დეპეშები სარაჯიშვილთან 5 მ. 65 კ. სულ 347 მ. 5 კ. დარჩა 18 მ. 98 კ.

მართალია, ზემოაღნიშნულ უწესოებისა და თან დიდის ხარჯების გამო ესეთი უნაყოფო გამოდგა კონცერტი, მაგრამ შრომა მაინც ისეთივე მოუნდა და ამიტომ ულრმეს მადლობას უცხადებ ყველა იმათ, ვინც უანგარო დახმარებით ხელი შეუწყოს მის გამართვას.

ნინო ყიფიანი.

P. S. დარჩენილი ფული უკვე გადაეცა წ.-ს. საზოგად. გამგეობას. **ნ. ყ.**

პეტერბურგის სტუდენტთა ქართულ სამეცნიერო წრეს აქვს წიგნთსაცავი, რომელშიაც წელს თავისი მოქმედება განაახლა. მაგრამ, სამწუხაროდ, წიგნთსაცავი იმდენად ღარიბია, რომ მისი სარგებლობის მსურველს ძნელად თუ დააკმაყოფილებს. მეტადრე ახლო წარსულ წლებში გამოსული წიგნები იმდენად ცოტა გვაქვს, რომ თითებზე დაითვლება.

ამის გამო უმორჩილესად ვთხოვთ ავტორებს და ჟურნალ-გაზეთების (როგორც ქართულის, ისე რუსულისაც) გამომცემლებს, ნუ დაიშურებენ საკუთარ გამოცემების თითო ცალს და მოგვაწოდონ შემდეგის ადრესით: С-Петербургъ, 12-ая линія N 31 А, кв. 33, Студ. Деканозишвили.

სამეცნიერ წრის გამგეობის მონდობილობით **დ. დეკანოზიშვილი.**

განცხადებანი

კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად[illegible]
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საშინაო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, [illegible]
მ. გ. [illegible] სიფილისი, [illegible]
ა. მ. პუგინოვი ბავშვებისა და ყვავილი[illegible]
[illegible]
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
საღამოთი:
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: [illegible] ს. საშინაო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ვ. [illegible]: 6—7 ს. [illegible]ნი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—212)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6,—3)

საუცხოვო ახლად მოწყობილი
სახელოსნო მკერვალ ქალების
[illegible] ტანისამოსს ქალებისა და ბავშვებისა, [illegible] ფასები, [illegible] (კახ. ნ ჩერსტვოს) [illegible] ქუთაისში, მეხთა სემინარიის პირდაპირ, № 2 სახლი თუმანოვისა—ეკ. იმნაძესთან.
(6—527—3)

გამსესხებელი განყოფილება
სავ. სახ. ვ. ლიხიციანისა და ამხ.
(სასახლის ქ., ხ თავად-აზნაურობისა)
იძლევა ყოველ დღე 9-დან შუადღის 12ს. სესხს სხვა და სხვა ფასიან ნივთეულობის გირაოზე. იქვე შეიძლება ხელის მოწერა პაებზე. (3—3—3)

ახლად გახსნილ ლორის-მელიქოვ. ქ. № 6, ფოსტის მახლობლად ხრომოლიტოგრაფიაში
„ამხ.-ბა ლევიტ და მესნიკ“
შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ სალიტოგრაფო საქმისა. ფასები ზომიერია. ყველაფერი კოხტად და კარგად კეთდება. სპეციალურად სადარბაზო ბარათები, ბლანკები, ანგარიშები. (12—გაგ.—7)

კოსმეტიკის და პარფიუმერიის ახალი რამეები
დუხეგი ნისცის ყვავილებისა
შამპუ, კრემები, საპონი, პუდრა, ოდეკალონი, ლოსიონი.
სანაძერმა ნისცაში
იყიდება ყველგან.
განყოფილება რუსეთისთვის; Москва, Никольская, д. Греческаго Монастыря.
(Л. Метцль и К. N 141702) (5—б.—4)

1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ **1 მანეთიდან**
ხელის მაშინები 25 მანეთიდან
იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე. სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაგ.—8)
Швейныя машины Компании Зингеръ
THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK

სანერგე ამერიკულ ვაზისა
„კლო უგურული“ ქუთაისში.
უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სხმელ და სქელ ყურძნის ჯიშ[illegible]
მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის კურანტები
აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო [illegible] (0 б.—2)

პროვოდნიკის
1897 წ. 1888
Поставщикъ Двора Его Императорскаго Величества
1908 წ.
ამხანაგობა
რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
იყიდება ნარდად და ცალობით:
რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,
რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,
რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,
იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,
რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,
რეზინის სათამაშოები და ბურთები,
რეზინის საგალანტერეინო საქონელი,
საშლელი რეზინი „სპილოს“ მარკისას

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი, ი. ხ. ახლაძე